ბარონი ფედორ ფედორის ძე კორფი, „მოგონებები სპარსეთზე, 1834-1835“.

Корф, Воспоминание о Персии 1834-1835. Барона Феодора Корфа, Санкт-Петербургъ, въ Гуттенберговой типографіи, 1838

Эриванская площадь и несколько улиц отстроены на Европейский лад; остальное же все Азия; пестрота костюмов удивительная: на одной и той же улице встречаете Русского, Грузина, Армянина, Татарина и эта [33]

" .... смесь одежд и лиц,
Племен, наречий, состояний"![1]

бросается в глаза так, что сначала не понимаешь в какую попал землю и каким образом в одном и том же городе стоишь одной ногою в Европе, а другой в Азии. Общество Европейцев в Тифлисе довольно велико, и привыкнуть к тамошнему климату, довольно утомительному от сильного зноя и к образу жизни, можно проводить время очень весело, хотя и нет никаких публичных удовольствий [34].

ერივნის მოედანი და რამდენიმე ქუჩა ევროპულად გაშენდა; დანარჩენი კი სულ აზიაა; საოცარია კოსტიუმების სიჭრელე: ერთსა და იმავე ქუჩაზე ხვდები რუსს, ქართველს, სომეხს, თათარს და

„…ტანსაცმლისა და სახეების,
ტომების, დიალექტების, ქვეყნების ნარევი!“

ისე გეცემა თვალში, რომ თავიდან ვერ ხვდები, სად მოხვდი და როგორ დგახარ ერთსა და იმავე ქალაქში ერთი ფეხით ევროპაში, მეორეთი კი – აზიაში. ტფილისში ევროპელთა საზოგადოება საკმაოდ დიდია და როდესაც იქაურ საკმაოდ დამღლელ ძლიერ სიცხესა და ცხოვრების წესს შეეგუები, დროის ძალიან მხიარულად გატარება შეიძლება, თუმცა არავითარი საზოგადოებრივი სიამოვნება არ არის.

В Старом городе есть три площади очень небольшие: Татарская, где производится ежедневно продажа съестных припасов, Вельяминовская и Базарная. В Новом также три: Эриванская, обширная, хотя неправильная, на ней стоят большие строения, Штаб, Полиция и Гимназия; Мадатовская площадь правильная но мало застроенная, и наконец площадь перед домом Корпусного Командира довольно большая, но не ровная, и также мало обстроенная. К числу достопримечательностей Тифлиса принадлежат три церкви, построенные Царем Вахтангом, о котором было говорено выше: Сионская, Петхаин и церковь в Мерахской крепости. Сионский собор главная церковь в городе, построена как говорят слишком 500 лет тому назад. Она стоит на Базарной улице близ караван-сарая г. Арзруни (одного из лучших караван-сараев в Тифлисе).

[1] Источник крылатого выражения «Какая смесь одежд и лиц, племен, наречий, состояний!»: поэма А.С. Пушкина «Братья-разбойники». А. С. Пушкин, Собр. соч. в 10 тт., Т. 3, Поэмы, 136.

Близость домов окружающих церковь скрывает наружную архитектуру ее от глаз. Внутренность же ее может поистине почесться великолепною: она светла и очень обширна, высокие колонны симметрически расположенные поддерживают потолок. Образа украшающие иконостас и стены, принадлежат глубокой древности. Службу по праздникам [36] отправляет Экзарх Грузии с большою церемониею. В этой церкви покоятся остатки многих известных людей, служивших с пользою отечеству, и теперь предполагается воздвигнуть в ней памятник бессмертному в Грузии князю Цицианову. Этот памятник будет сделан из Казбекского гранита, и для отделки выписывают мастеров из Сибирских горных заводов. [37]

ძველ ქალაქში არის სამი პატარა მოედანი: თათრის[2], სადაც ყოველდღიურად იყიდება სურსათ–სანოვაგის მარაგი, *ველიამინოვსკაია*[3] და *ბაზარნაია*[4]*.* ახალშიც სამია: დიდი, თუმცა უსწორმასწორო *ერივანსკაია*, სადაც დგას დიდი შენობები – შტაბი, პოლიცია და გიმნაზია; *მადათოვსკაიას* მოედანი სწორია, მაგრამ ნაკლებადაა განაშენიანებული, დაბოლოს, კორპუსის მეთაურის სახლის წინ მდებარე მოედანი საკმაოდ დიდია, მაგრამ არათანაბარია და ასევე მცირედაა განაშენიანებული.  ტფილისის ღირსშესანიშნაობებს შორისაა ზემოთ ნახსენები ვახტანგ მეფის მიერ აგებული სამი ეკლესია: სიონი, ფეთხაინი და ეკლესია მეტეხის ციხესიმაგრეში. სიონის საკათედრო ტაძარი ქალაქის მთავარი ეკლესიაა, რომელიც, როგორც ამბობენ, 500 წლის წინ აშენდა. ის დგას ბაზრის (*ბაზარნაიას*) ქუჩაზე ბ-ნი არწრუნის ქარვასლის მახლობლად (ტფილისში ის ერთ-ერთი საუკეთესოა). ეკლესიის მიმდებარე სახლების სიახლოვე მხედველობიდან ფარავს მის გარე არქიტექტურას. მისი ინტერიერი ნამდვილად შეიძლება დიდებულად ჩაითვალოს: ის ნათელი და ძალიან ვრცელია, ჭერს სიმეტრიულად განლაგებული მაღალი სვეტები იჭერს. კანკელისა და კედლების შემამკობელი ხატები უძველესია. დღესასწაულებზე ღვთისმსახურებას დიდი ცერემონიით საქართველოს ეგზარქოსი ასრულებს. ამ ტაძარში განისვენებს მრავალი ცნობილი ადამიანის ნეშტი, რომლებიც სამშობლოს ღვაწლით ემსახურებოდნენ, ახლა კი იქ საქართველოში უკვდავი თავადი ციციანოვის ძეგლის დადგმა იგეგმება. ეს ძეგლი ყაზბეგიდან ჩამოტანილი გრანიტისა იქნება, მის მოსაპირკეთებლად კი ციმბირის სამთო ქარხნების ხელოსნებს დაიქირავებენ.

Церковь Петхаинская воздвигнутая в воспоминание Вифлеема стоит на весьма высоком месте горы, ограждающей город с Юго-запада. Она перешла в ведение Армянского духовенства и пользуется необыкновенным почтением: каждую субботу вечером огромные массы поклонников отправляются туда, взбираясь с трудом по крутой горе. В это время церковь бывает освещена и представляет удивительный вид. [37]

ბეთლემის ხსოვნისათვის აღმართული ფეთხაინის ეკლესია მთაზე ძალიან მაღალ ადგილზე დგას, რომელიც ქალაქს სამხრეთ-დასავლეთიდან აკრავს. ის სომეხი სამღვდელოების გამგებლობაში გადავიდა და განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს: ყოველ შაბათ

[2] თათრის მოედანი დღეს „გორგასლის მოედანი,“ იგივე „მეიდანი“.
[3] დადიანის ქუჩა.
[4] *მაიდანი.*

საღამოს იქ მლოცველთა უზარმაზარი მასები მიდის, რომლებიც გაჭირვებით ადიან ციცაბო მთაზე. ამ დროს ეკლესია განათებულია და საოცარ სანახაობას წარმოადგენს.

Церковь в Мерахской крепости построена за Курою на горе. Теперешний Экзарх Грузии Евгений предполагает исправить и поддержать этот достопочтенный памятник древности. [37]

მეტეხის ციხესიმაგრის ეკლესია მტკვრის უკან, მთაზე აშენდა. საქართველოს ამჟამინდელი ეგზარქოსი ევგენი სიძველის ამ პატივცემული ძეგლის შეკეთებასა და შენარჩუნებას აპირებს.

Кроме этих трех церквей заслуживают внимание еще две, Анчисхати и церковь Св. Давида. Анчисхати или Нерукотворенного [37] Образа Господа нашего Иисуса Христа, чрезвычайно уважается Грузинами. Во время богослужения стекается туда множество народа.

ამ სამი ეკლესიის გარდა, ყურადღებას იმსახურებს კიდევ ორი, – ანჩისხატისა და წმინდა დავითის, – ეკლესია. ანჩისხატს ანუ „ხელთუქმნელ ხატს“ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გამოსახულებას, ქართველები დიდ პატივს სცემენ. ღვთისმსახურების დროს იქ უამრავი ხალხი იყრის თავს.

Церковь Св. Давида построена на весьма высоком утесе горы к западу от города. Каждый четверг собирается туда народ на богомолье и многие усердные люди, в особенности женщины, совершают путь босыми ногами. В церкви Св. Давида погребены тела многих замечательных людей; в ней покоится прах Грибоедова. [38]

წმინდა დავითის ეკლესია აშენებულია ქალაქის დასავლეთით, ძალიან მაღალი მთის ფრიალო კლდეზე. ყოველ ხუთშაბათს ხალხი იქ სალოცავად იკრიბება და ბევრი გულმოდგინე ადამიანი, განსაკუთრებით ქალები, ამ გზას ფეხშიშველი გადის. წმ. დავითის ტაძარში დაკრძალულია მრავალი ღირსშესანიშნავი ადამიანის ცხედარი; მასში განისვენებს გრიბოედოვის ფერფლი.

Можно указать также на Армянский монастырь Ванки. Патриарх всех Армян при посещении Тифлиса совершает в нем священнодействие. [38]

ასევე შეგიძლიათ აღვნიშნოთ ვანქის სომხური მონასტერი. სრულიად სომეხთა პატრიარქი ტფილისში სტუმრობისას იქ წმინდა რიტუალს აღასრულებს.

(რუსულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)